



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011711445961621

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

151919

07 / აპრილი / 2021 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომბაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 154043/17. **თარიღი:** 30.03.2021 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირი: დიანა ბალაბანიდუს (საიდენტიფიკაციო ნომერი C/N X 240583) წარმომადგენელი ზაზა მათოშვილი (პირადი ნომერი 59001065883).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ქვედანაყოფის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის შიდა ქართლის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „შიდა ქართლის რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: რეგისტრაციის შესახებ № 882021015237-09 (04.02.2021 წ.) გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და შიდა ქართლის რეგიონული ოფისისთვის №882021015237 სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება 2021 წლის 25 იანვარს ადგილზე დათვალიერების დროს აზომილი საკადასტრო მონაცემების საფუძველზე შედგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად.

უძრავი ნივთების მისამართები: გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ატენი.

ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის წარმომბაში მიღებისათვის კანონით გათვალისწინებულ პირობებს.

ამასთან, რეგისტრაციის შესახებ № 882021015237-09 (04.02.2021 წ.) გადაწყვეტილების მიღების შედეგად მომზადებული საჯარო რეესტრიდან ამონაწერის გათვალისწინებით, რომლითაც საჯარო რეესტრის მონაცემებით, უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი 66.60.07.357, წინა ნომერი 66.60.07.192) რეგისტრირებულია ანგელინა გუგულაშვილის (პირადი ნომერი 24001003207), არედი ბალაბანოვისა (პირადი ნომერი 59001062667) და დიანა ბალაბანიდუს (საიდენტიფიკაციო ნომერი C/N: X 240583) თანასაკუთრების უფლებები, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების პრინციპების დაცვით, ადმინისტრაციულ წარმომბაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ უნდა იქნენ ანგელინა გუგულაშვილი (პირადი ნომერი 24001003207) და არედი ბალაბანოვი (პირადი ნომერი 59001062667).

ასევე, საქმეში არსებული გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით (საქმის №140310117001894186, №3/113-17, თარიღი: 13.11.2018 წ.), რომლის თანახმად, სასამართლო საქმისწარმოებაში მოსარჩელეს წარმოადგენდა როლანდ ვანიშვილი, მოპასუხეებს: შიდა ქართლის რეგიონული ოფისი, არედი ბალაბანოვი, ანგელინა გუგულაშვილი, დიანა ბალაბანიდუ, მესამე პირს - გორის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების პრინციპების დაცვით, ადმინისტრაციულ წარმომბაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ასევე ჩაბმულ უნდა იქნენ: საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი 66.60.07.183) რეგისტრირებული მესაკუთრე - როლანდ ვანიშვილი (პირადი ნომერი 59001044426) და გორის მუნიციპალიტეტის მერია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში დიანა ბალაბანიდუს (საიდენტიფიკაციო ნომერი C/N X 240583) წარმომადგენლის ზაზა მათოშვილის (პირადი ნომერი 59001065883) № 154043/17 (30.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი.

2. წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში დაინტერესებულ პირად ჩართულ იქნენ: ანგელინა გუგულაშვილი (პირადი ნომერი 24001003207), არედი ბალაბანოვი (პირადი ნომერი 59001062667), როლანდ ვანიშვილი (პირადი ნომერი 59001044426) და გორის მუნიციპალიტეტის მერია.

3. ადმინისტრაციული საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები, აგრეთვე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების, № 882021015237 წარმოებაზე მომზადებული სიტუაციური ნახაზისა და საკადასტრო გეგმის ასლები გაეგზავნოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ პირებს.


4. დაინტერესებულ მხარეებს განემართოთ, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე კანონმდებლობით.

5. წინამდებარე კორექსონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge.

6. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

დავით დევიძე